სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სტრატეგია

2013 წელი

აკადემიის ხედვისა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა

ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 18 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე დაარსდა. აკადემიის ძირითადი მიზანია ფინანსთა სამინისტროს სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება საკადრო რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა/გაზიარების გზით; ასევე, ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით განხორციელების ხელშეწყობა , საქართველოში ფინანსურად ძლიერი,სტაბილური და კვალიფიციური საჯარო და კერძო სექტორის შექმნის გზით.

აკადემიას უკვე აქვს წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება, არა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს სისტემასთან, ასევე სხვა სახელმწიფო თუ კერძო საქტორის წარმომადგენლებთან. პრიორიტეტული სასწავლო მიმართულებებია: ფინანსები, ბიუჯეტირება, საგადასახადო ადმინისტრირება, ბუღალტერია, მენეჯმენტი, უცხო ენები და პროფესიული უნარების განვითარებაზე მიმართული სხვადასხვა პროექტები.

ფინანსთა სამინისტროს აკადემია პირველი ტრეინინგ-ცენტრია საქართველოში, რომელსაც სასწავლო პროგრამების ორგანიზების მიმართულებით ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001:2008 მიენიჭა.

აკადემიის მიზნები:

ფინანსთა სამინისტროს ინსტიტუციის განვითარების ხელშეწყობა კვალიფიციური კადრების შერჩევისა და პროფესიული განვითარება

რადგან, კვალიფიციური კადრები ნებისმიერი სისტემის წარმატებისა და სიძლიერის გარანტია

ფინანსურად გამართული და ძლიერი საჯარო სექტორის ფორმირების ხელშეწყობა რათა წარმატებით გატარდეს პრაქტიკაში ფინანსთა სამინსიტროს მიერ ამ კუთხით ინიცირებული რეფორმები

ფინანსურად განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა რათა მოვამზადოთ ახალი რესურსი ბიზნესის განვითარებისთვის ან/და მოვუმზადოთ არსებულ ბიზნესს კვალიფიციური ახალი კადრები თავიანათი საქმიანობის წარმატებით გასახორციელებლად

ფინანსურად გამართული და ძლიერი კერძო სექტორის ფორმირების ხელშეწყობა რათა განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი, რაც ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, გაიზარდოს საგადასახადო შემოსავლები და წარმატებით გატარდეს პრაქტიკაში ფინანსთა სამინსიტროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ ამ კუთხით ინიცირებული რეფორმები

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა

აღნიშნული მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აკადემია თანამშრომლობას გეგმავს შემდეგი სექტორის წარმომადგენლებთან:

- სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები;
- კერძო სექტორის წარმომადგენლები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი N 1

სამინისტროს სისტემის საჭიროებების იდენტიფიცირება და წლის განავლობაში საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის მასშტაბით ტრეინინგის საჭიროებათა ანალიზის ჩატარება (TNA);
- სამინისტროს სისტემის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამების მომზადება და სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.
- ფინანსთა სამინისტროს სისტემისათვის ახალი და კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით, სტაჟირების კონკურსების ორგანიზება და განხორციელება/ სტაჟიორების მომზადება.

სტრატეგიული მიზანი N 2

თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებებთან და ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომელთა პროფესიული მომზადება. ამ მიმართულებით სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსებისა და სასერტიფიკაციო პროგრამების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების კურსი, ამ სფეროში ჩართული შემსყიდველი და მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის.

მოკლე აღწერა: ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, იგეგმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სასერტიფიკაციო და ტრეინინგ-პროგრამის შემუშავება როგორც შემსყიდველი, ასევე მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის. ორგანიზაციებისათვის პროგრამის გავლა იქნება ნებაყოფლობითი. შესყდვებში მონაწილე პირების აზრისა და საჭიროებების შესასწავლად აკადემიის ვებ-გვერდზე ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც 300-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა და მათი უმრავლესობა მსგავსი ტრეინინგების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს.

გორისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და პრიორიტეტული მიმართულებებით მოსახლეობის გადამზადება.

მოკლე აღწერა: USAID/NEO - ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის პროექტთან თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდება გორისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შრომისუნარიანი მოქალაქეების შესაძლებლობების შესწავლა, ამასთან ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული ვაკანტური

პოზიციების კვლევა - შესაბამისი მიმართულებებით ძლიერი უნარების მქონე კანდიდატების გადამზადებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

შიდა აუდიტის ტრეინინგები

მოკლე აღწერა: სასწავლო კურსის მიზანი სახელმწიფო ორგანიზაციებში შიდა აუდიტის დეპარტამენტების განვითარების ხელშეწყობა და მუშაობის პროცესის ეფექტურობის ზრდაა. პროგრამა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში განხორციელდება.

სტრატეგიული მიზანი N 3

ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით განხორციელების ხელშეწყობა

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სიახლეებისა და ცვლილებების ეფექტურად იმპლემენტირების მიზნით, 2013 წელს საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის იგეგმება შემდეგი მიმართულებების სასერტიფიკაციო და ტრეინინგ-პროგრამების განხორციელება:

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS);
- საბიუჯეტო სისტემა, საბიუჯეტო კლასიფიკაცია და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (E-Budget);
- სახაზინო პროცედურები და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერია;
- ალტერნატიული აუდიტში ჩართული და ჩართვის მსურველი პირების ტესტირება.

სტრატეგიული მიზანი N 4

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

TWINNING-ის პროექტში ჩართვა - საჯარო სამსახურების დაძობილების პროექტი.

მოკლე აღწერა: 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში განხორციელდება Twinning-ის პროექტი, რომელშიც ჩაერთვებიან ფინელი და ესტონელი ექსპერტები. Twinning პროექტი ითვალისწინებს აკადემიის განვითარებას ოთხი მიმართულებით, კერძოდ: აკადემიის სტრატეგიული მართვის შესაძლებლობების გაძლიერება, აკადემიის სასწავლო, ადამიანური რესურსებისა და ხარისხის მართვის მიმართულებების გაძლიერება.

IMF-ის ინსტიტუტთან თანამშრომლობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტის რეგიონალურ ცენტრად ჩამოყალიბებას.

პროექტის აღწერა: 2013 წელს (მაისი-ივნისი და სექტემბერი) ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში IMF-ის ეგიდით ჩატარდება ორი კურსი: (1),,ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკისა“ და (2) ,,სავალუტო გაცვლის პოლიტიკის“ მიმართულებებით. კურსს დაესწრებიან სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენლები. ამ კურსების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მხარეებს შორის

თანამშრომლობა გაგრძელდება. აკადემიის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია გახდეს IMF-ის ინსტიტუტის ოფიციალური წარმომადგენელი რეგიონში.

სტრატეგიული მიზანი N 5

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ინსტიტუციონალური განვითარება

- აკადემის ფუნქციების, როლისა და სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- სამინისტროს ტრეინინგების საჭიროებების რეალიზების მიზნით, წლის განმავლობაში ახალი ტრეინინგ-პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- საერთაშორისო პროექტებთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, აკადემიის ინსტიტუციონალურ განვითარებაზე მიმართული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი კონტროლი და გაუმჯობესება - საერთაშორისო სერტიფიკატის ISO 9001:2008-ის შემარჩუნება;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ელ. პროდუქტების განვითარება;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის გუნდის პროფესიული განვითარება.

სტრატეგიული მიზანი N 6

- სოციალური პროექტების განხორციელება, ძირითადად საუნივერსიტეტო წრეებთან თანამშრომლობისა და აკადემიის აქტივობებში სტუდენტების ჩართვის გზით.
- ქართულ და უცხოურ წამყვან უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი პროექტების განხორციელება.
- აკადემიის პიარ სტრატეგიის გააქტიურება.

სტრატეგიული მიზანი N 7

ფინანსური მდგრადობისა და საკუთარი რესურსების მოზიდვის უზრუნველყოფა

- ორგანიზაციის სტრატეგიის და პრიორიტეტების შესაბამისად, მონაცემების ანალიზის საფუძველზე ფინანსური დაგეგმვა და პროგნოზირება;
- დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა;
- მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების ამოქმედება;
- ელ. გადახდის მეთოდის ამოქმედება.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მიღწევა უნდა მოხდეს არსებული საბიუჯეტო დაფინანსების, დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული თანხებისა და აკადემიის საკუთარი შემოსავლების გამოყენების გზით. რისთვისაც აუცილებელია აკადემიის ადამიანური რესურსის ოპტიმალურად გამოყენება და პარტნიორ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობა.